რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის მორიგი სხდომა შედგა

2021 წლის 14 სექტემბერს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველი იერარქის, აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტის ილარიონის თავმჯდომარეობით რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა სინოდის მორიგი სხდომა ჩატარდა.

სხდომის მუშაობაში, რომელიც დისტანციურად გაიმართა, მონაწილეობა მიიღეს ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტმა მარკოზმა, სან ფრანცისკოსა და დასავლეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსმა კირილემ, მონრეალისა და კანადის მთავარეპისკოპოსმა გაბრიელმა, ჩიკაგოსა და ცენტრალური ამერიკის მთავარეპისკოპოსმა პეტრემ, ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსმა ირინეოსმა, კანბერას ეპისკოპოსმა გიორგიმ და მანჰეტენის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა.

აღმოსავლეთ ამერიკის მიტროპოლიტმა ილარიონმა შეხვედრის მონაწილეებს მიულოცა საეკლესიო ახალი წელი და კეთილმსახური დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის დაბადებიდან 800 წლის იუბილე. პირველიერარქმა მწყემსთმთავრებს მოუთხრო ნიუ-ჯერსში, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ჩატარებული ზეიმის შესახებ, როჩესტერში (ნიუ-იორკი) საფარველის ახალი ტაძრის კურთხევისა და სინოდალურ რეზიდენციაში ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტი იოსების ძმური ვიზიტზე. შემდეგ მღვდელთმთავართა სინოდის თავმჯდომარემ ყველას მომავალ საქმეებში ღვთის შეწევნა უსურვა

ბერლინის მიტროპოლიტი მარკოზი ცნობით გამოვიდა მონტენეგროსა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს აღსაყდრების ზეიმთან დაკავშირებით.

ლონდონის ეპისკოპოსის ირინეოსის მოხსენებაში წამოჭრილი საკითხების განხილვისას, ეპისკოპოსთა სინოდმა გადაწყვიტა შექმნას სამღვდელთმთავრო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ რუსეთის საღვარგარეთის ეკლესიის მწყემსმთავრები, რომლებიც თავიანთ მსახურებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღასრულებენ – ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტ მარკოზის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოს მთავარი მიზანია, ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების აქტუალური საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, და სამოძღვრო გამოკვება.

მოისმინეს რა დეკანოზ ანდრია პაპკოვის ანგარიში, სინოდის საეკლესიო მუსიკალური კომისიის საქმიანობისა და გეგმების შესახებ, უწმინდესმა მწყემსთმთავრებმა ღვთის კურთხევა გამოითხოვეს ნეტარხსნებული მიტროპოლიტი ლავრის სახელობის საზაფხულო სინოდალური საეკლესიო მგალობელთა სკოლის ნოვო-დივეევოს მიძინების დედათა მონასტერში გადასატანად, ასევე მხარი დაუჭირეს გამომსვლელის იდეას, სკოლასთან მართლმადიდებლური საგანმანათლებლო ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით და დაადასტურეს თავიანთი კურთხევა დასავლეთ ევროპაში აღნიშნული სკოლის ფილიალის გახსნისათვის.

შემდეგ, ეპისკოპოსთა სინოდმა განიხილა სხვადასხვა საეკლესიო-დისციპლინური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხები, ასევე მწყემსმთავართა რიგი შუამდგომლობა, რომლებმაც თავიანთი ეპარქიების სასულიერო პირები და ერისკაცები საეკლესიო ჯილდოებისთვის წარადგინეს.

***Патриархия.ru**/ სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88064/